თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6846832

ნომერი: AR11010643

თარიღი : 16.01.2024

გაცემის თარიღი : 18.01.2024

გაცნობის თარიღი : 22.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე მგალობლიშვილი პ/ნ 01017019940
- თბილისი შატბერაშვილის ქ. #9

ორგანიზაცია:
- შპს ფორმა კოდი: 404544445

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 16 იანვარს №AR11010643 განცხადებით მომართა ალექსანდრე მგალობლიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6801733 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისი, ქუჩა გორგასალი №6-ში მდებარე №01.18.05.001.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის №343 განკარგულების გათვალისწინებით, ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტში დაფიქსირებული ინფორმაცია შეუსაბამოა საპროექტო ობიექტთან/განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებთან და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 22 დეკემბრის №AR11005796 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.18.05.001.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის №6801733 ბრძანებით შეთანხმებული ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია. სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაიცა მშენებლობის ნებართვა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი არასწორად ჩამოყალიბდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს, ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი №6-ში მდებარე №01.18.05.001.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826527 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.